ისწავლე კითხვა
საფეხური 5

ფიფქია
და შვიდი ჯუჯა

ილუსტრატორი
აკბარ ალი

სულაკაურის
გამომცემლობა

უხსოვარ დროს, ზამთრის ერთ ცივსა და თოვლიან დღეს დედოფალი სასახლეში, ფანჯარასთან იჯდა და ჩვილის სახვევს ქარგავდა. მას მალე შვილი უნდა გაეჩინა და ძალიან უნდოდა, გოგონა ჰყოლოდა.

უცებ თითში ნემსი შეერჭო და სისხლი სახვევზე დაეწვეთა.

– რა ლამაზი ფერია წითელი, – გაიღიმა დედოფალმა და ფანჯრიდან გაიხედა. თოვდა.

„მინდა, ჩემს შვილს სისხლივით წითელი ტუჩები, თოვლივით თეთრი კანი და ამ ხეებივით მუქი თმა ჰქონდეს“, – გაიფიქრა დედოფალმა.

მართლაც, ძალიან მალე მას გოგონა შეეძინა, რომელსაც სისხლივით წითელი ტუჩები, თოვლივით თეთრი კანი და ნახშირივით შავი თმა ჰქონდა.

„ფიფქივით ნაზი და მშვენიერი ხარ, ჩემო პატარავ, ამიტომ ფიფქიას დაგარქმევ“, – მიეალერსა დედოფალი.

დედა ცივ ნიავს არ აკარებდა გოგონას, თუმცა, მისი დაბადებიდან ორი წლის თავზე დედოფალი მძიმე სენით დაავადდა და გარდაიცვალა.

მეფემ სხვა ქალი შეირთო.

ფიფქიას დედინაცვალი ლამაზი, მაგრამ ბოროტი და ამპარტავანი ქალი გამოდგა.

„ამქვეყნად ყველაზე ლამაზი მე ვარ!“ – თავს ირწმუნებდა ახალი დედოფალი და ცდილობდა, სხვებიც დაერწმუნებინა.

მან დანახვისთანავე შეიძულა ულამაზესი გერი და მაშინვე მისი მოკვლა ჩაიდო გულში.

დედოფალს ერთი ჯადოსნური სარკე ჰქონდა.
ყოველდღე ჩაიკეტებოდა ხოლმე თავის ოთახში,
ჩაიხედავდა სარკეში და ეკითხებოდა:

სარკევ, სარკევ, მითხარო,
ყველას მე ვჯობივარო?

სარკეც მუდამ ერთსა და იმავეს პასუხობდა:

მოკაშკაშე მზის დარო,
ყველას შენ სჯობიხარო!

ერთ დღესაც სარკემ უპასუხა:

ფიფქია რომ ჰქვიაო,
ყველას ის სჯობიაო.

განრისხებულმა დედოფალმა მაშინვე იხმო მონადირეთუხუცესი და დაავალა:

– ფიფქია ტყეში წაიყვანე და მოკალი. ურჩობა არ გაბედო. იცოდე, მისი გული უნდა მომიტანო!

მონადირეთუხუცესმა ფიფქია ტყეში წაიყვანა.

შუა ტყეში რომ შევიდნენ, მან სამჯერ წაიღო ხელი დანისკენ, მაგრამ ულამაზესი ფიფქია ისეთი უმანკო თვალებით შესცქეროდა, ვერაფრით გაიმეტა მოსაკლავად.

– შენი მოკვლა დედოფალმა მიბრძანა, მაგრამ არ შემიძლია! – გამოუტყდა ბოლოს გოგონას, – რაც შეიძლება, შორს გაიქეცი და უკან აღარასოდეს დაბრუნდე, თორემ ის ორივეს დაგვხოცავს.

მერე შველი მოკლა, გული ამოაცალა და დედოფალს წაუღო იმის ნიშნად, რომ ბრძანება პირნათლად შეასრულა.